


12/9



სა-კულტურა-კვანძეული ჟურნალი

№ 10



ფასი 10 კპვ.





18 გორაკობისთვის 1912.  
ზიზ-ლიონისკა  
მიიღება ხელის მოწერა ფასი  
1 წლ. — 5 მან ამა 1912 წლ  
დამლევამდე — 1 მან. 50 კაპ.  
სოფლის მასწავლებელთ, სამ-  
კითხველოებს და უმაღლეს სას-  
წავლებლებში მოსწავლეთ დაე-  
თმობათ 4 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ.

მიური და სალიტერატურო ჟურნალი რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11-1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: ერობის მოლოდინში. — ა - ისა. კულტუ-  
რული საქმიანობა სოფელად. — მროველისა. ჰე-  
ტრე ბაგრატიონა. — ალ. ფრონელისა. ქუთა-  
ისის ქართულ გამნაზიაში. — ეკ. გაბაშვილისა.  
უფსკრული. — ნ. გ-ისა. ქართულ-სომეხთა სოფი-  
დარობა. — ფარსმან ფარუხისა. ჟურნალი  
„შრომის კავშირი“ № 1. — დ. ვ-ისა. მოსკოვის  
საკრედიტო საზოგადოების იუბილეი. სსსრკებლო  
ცნობები. ფრონის სეკობა. — ალ. არაგინისა. ჩვე-  
ნი მდუღლება. — კოტე ფასანაურელისა. ჩვე-  
როლოგი.

1671

### ერობის მოლოდინში

ჩვენი ჟურნალის დღევანდელ ნომერში მკითხველი ყურადღებას მიაქცევს ბ-ნ ა. არა-  
ვინის წერილს. წერილში მოკლედ და სხარ-  
ტულად დახატულია სურათი ჩვენის სოფ-  
ლისა. საჭირო არ არის დიდი მხატვარი იყო,  
რომ ასწერო ჩვენი სოფელი. მაგრამ, აუცი-  
ლებლივ საჭიროა გულის ყური და დაკვირ-  
ვების ნიჭი გქონდეს, რომ მოკლედ ის დას-  
კვნა გამოიყვანო, რა დასკვნაც ჩვენ ავტორს  
გამოჰყავს.

ჩვენი სოფელი რეფორმას ითხოვს. ამას  
არ ამბობს წამ-და-უწამ ჩვენი გლეხი, მაგრამ  
ამას გვეუბნევა ყოველი გადაბრუნებული ურე-

მი, ამას გვეუბნევა ყოველი ჩატეხილი ბო-  
გირი, ამას გვეუბნევა სილატაკე, სიბნელე,  
და ის ჩამორჩენილება, რომელმაც ერთ ად-  
გილზედ დააბა სოფელი.

ის გარემოება, რომ კავკასიის ქალაქები  
უკვე თვითმმართველობის გზას ადგანან და,  
მიუხედავად საქალაქო დებულებათა ნაკლისა,  
რაც უნდა იყოს, ახორციელებენ თვითმართ-  
ველობის პრინციპს, და სოფელი კი მოკლე-  
ბულია ამ საშუალებას, სწორედ ეს გარემო-  
ება ჰქმნის იმ შეუსაბამობას, რომ განვითარება  
ქალაქისა და სოფლისა თანაბრად არ სწა-  
რმოებს ჩვენში და ეს ნაკლი მძიმე ტვირ-  
თად აწვება სოფელს და ხან თვით ქალაქსაც.  
ამაზედ გვითითებს ჩვენი ავტორიც. მაგრამ,  
იმავე ავტორის სიტყვით, უარესი ტრაგიზმი  
მდგომარეობს უფრო იმაში, რომ „ერობა  
არა გვაქვს და არც მალე გვაღირსებენ ამ  
სამოთხის ხილსა, მაგრამ საერობო გადასა-  
ხადს დიდის ერთგულობით აგროვებენ მამა-  
სახლისები, ბოქაულები და საბოლოციო და-  
რაჯნი“. .. სად მიდის ეს ფული, დეე, მკით-  
ხველმა იმავე ბ-ნ. ა. არაგინის წერილში ამო-  
იკითხოს.

ჩვენ კი ისევ გვსურს ვიკითხოთ: ნუ თუ  
მართლა მალე არ გვაღირსებენ ამ „სამოთხის  
ხილს“?

ჩვენ გვსურს შევვებოთ მთავრობის ორ



იმ მოსაზრებას, რომლის გამოისობით ერობა ნაადრევად არის მიჩნეული კავკასიაში.

პირველი მოსაზრება ის არის, რომ მხარე ვითომ ჯერ არ მომწიფებულა ერობისთვის. აშკარაა, ამ მოსაზრებაში გახვეულია ის მარტივი შეხედულებაც მთავრობისა, რომ ჩვენ კავკასიელებმა, ჯერ ვერ დავიმსახურეთ\* ერობა. გვერდს უხვევთ ამას, ვინაიდან მასში ვერ ვხედავთ სახელმწიფოებრივ რიგის არგუმენტაციას და გადავდივართ პირდაპირ საკითხზე. მართლა არ მომწიფებულა კავკასია ერობისთვის, თუ უკვე მომწიფდა? ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ ეს საკითხი, იმდენად არა მთავრობისათვის (რადგან, იქმნება ვერც ჩვენ დავარწმუნოთ მთავრობა ამაში, როგორც სხვებსაც ვერ დავარწმუნებია)—რამდენად საზოგადოებისთვის; მით უმეტეს, რომ საზოგადოებასაც ხშირად ავიწყდება ერობაზედ ზრუნვა და ფიქრი.

ჩვენდა საბედნიეროდ უნდა განვაცხადოთ, რომ ერობის საჭიროება უკვე მომწიფდა ჩვენში. ამაში არ არსებობს აღარავითარი ეჭვი, რომ ჩვენი სოფლის მთელი სამეურნეო და ადმინისტრაციული ცხოვრება მედგრად მოითხოვს ერობას. თუ რამდენად მედგარია ეს მოთხოვნილება სჩანს იქიდანაც, რომ საზოგადოება ველარ კმაყოფილდება არსებულ დაწესებულებით და თითონ ჰქმნის ისეთ კერძო ორგანიზაციებს, რომელნიც, თუმცა ფერმკრთალად, მაგრამ მაინც ძალ-ღონის მიხედვით ასრულებენ ერობის ფუნქციებს. აიღეთ ყველა ჩვენი კერძო საზოგადოებანი, სასკოლო თუ სხვა საკულტურო, აიღეთ ჩვენი სასოფლო-სამეურნო საზოგადოებანი, რომელთა უმთავრესი არენა სოფელია, მიაქციეთ ყურადღება მათ სკოლებს, მათ საცდელ მიწებებს, მათ ინსტრუქტორებს, აიღეთ აგრედვე წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი, მათის პატარა სესხით; დასასრულ აიღეთ თვით მთავრობის მოღვაწეობა, რომელიც იძულებულია ჩაერიოს საქმეში სხვა-და-სხვა კომისიებით, რომ სოფლის მეურნეობა მოაწესრიგოს და დასასრულ იმავე მთავრობისაგან გამართული „სიეზდები“, რომელთაც აზრად აქვთ სამეურნეო და სამრეწველო დარგის მოწესრიგება. განა ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ერობის საჭიროება მომწიფდა. ჩვენ მი-

ვალწიეთ უკვე იმ სიმწიფის პუნქტს, რომლის შემდეგ სიღამპლე და გახრწილება იწყობა. მაშ რატომ დროზედ არ უნდა მოვკრიფოთ ნაყოფი? ყველა ეს—სხვადასხვა ჩამოთვლილი დაწესებულებანი რუსეთის გუბერნიებში ერობის შემდეგ აღორძინდნენ და ის ფაქტი, რომ ისინი ჩვენში ერობის შემოღებამდის აღმოცენდნენ, განა იმის მაჩვენებელი არ არის, რომ მხარე კი მომწიფდა რეფორმისთვის, მაგრამ რეფორმამ დაიგვიანა?! თუ ყოველი სახელმწიფოებრივი რეფორმა ის ფრაკია, რომლის ჩაცმამდის საჭიროა ერთგვარ მანერების შესწავლა, განა ნება არა გვაქვს დავარწმუნოთ ყველანი, რომ ჩვენ ეს მანერები უკვე შევითვისეთ და ფრაკი კი ვერ მოგვიმზადეს.

თვით უმაღლესი წოდებაც კი მხარისა იძულებულია ამ საერთო ფერხულში ჩაებას, და, თუ თქვენ გადაშინჯავთ თბილისის სათავად-აზნაურო ბიუდჟეტს, იქიდანაც აღფილად დაინახავთ, რომ ეს წოდებაც კი იძულებულია, თავისი ბიუდჟეტი საერობო ხასიათის საქმეზედ ხარჯოს. რაღა უნდა ვსთქვათ გლეხობაზედ, და მოქალაქეებზედ, რომელნიც მილიონობით აძლევენ საერობო გარდასახადებს!

ქალაქები ხომ თავის დებულებით ეხლავე არიან ელემენტები მომავალ ერობისა. მაშ ვინ, ან რა არის მოუმწიფებელი, რომ გვეღირსოს ეს „სამოთხის ხილი“.

მთავრობის მეორე მოსაზრება, რომლის ძალითაც ერობა ნაადრევია კავკასიაში,— ბიუდჟეტის საკითხს შეეხება. კავკასია დეფიციტს იძლევა, გვეუბნებიან ჩვენ, ამიტომ ერობა ნაადრევიაო. რასაკვირველია, ამ საკითხს დიდი ერთობა აქვს ერობასთან და თუ ისეთია მართლაც მდგომარეობა, რომ პირიქით ხაზინა იძულებულია ჰფაროს ჩვენი დეფიციტი, მაშინ რაღა გვეთქმის, რადგან ერობა იმის ერობაა, რომ იგი ემყარება თავის საკუთარ ბიუდჟეტს. მაშინ ისღა დავგრჩენია, უცადოთ იმ დროს, როცა კავკასიის შემოსავალი დაჰფარავს თავის გასავალს. მთავრობის ეს აზრი იქამდის ავტორიტეტულად იყო მიჩნეული, რომ დიდხანს არავინ არ სცდილობდა ჩვენი ბალანსების შესწავლას. ყველა ჩვენგანს, თითქმის სჯეროდა მთავრო-



ბის აზრის სიმართლე და ამ რიგად მთელს იმპერიაში თითქმის მარტო ჩვენ ვიყავით „კაზიონი სჩოტზედ“. მაგრამ ყველას ახსოვს საერობო წინასწარი კრებები. ბ. ფ. გოგიჩაიშვილმა სტატისტიკურის ცნობებით ყველასთვის აშკარად გახადა ამ აზრის სიმართლე და, მგონი, პირველად მაშინ გავიგეთ დანამდვილებით რომ ჩვენ „ჩვენი ხარჯით“ ვსცხოვრობთ და ცოტაოდენ, ასე 6—8 მილიონ წმინდა შემოსავალს ხაზინასაც ვაძლევთ.

როცა კამათში საბუთი თავის მნიშვნელობასა ჰკარგავს, მაშინ იგი ან ახალით უნდა შეიცვალოს, ან მოპირდაპირესთან დათანხმებით უნდა დამთავრდეს კამათი. ჩვენ კი მთავრობის მხრივ ვერც ერთს, ვერც მეორეს ვერა ვხედავთ.

ა - ი.



# კულტურული საქმიანობა სოფლად

## 1.

სოფელი, სოფელს, სოფლად; გლეხი, გლეხს, გლეხთან... ამ სიტყვებს დღეს ჩვენში ათასწაირად აბრუნებენ, ყველას იგინი პირზედ აკერია, ყველა მათზედ ლაპარაკობს: მღვდელი, მასწავლებელი, მოსწავლე, ნასწავლი, უსწავლეელი, სტუდენტი, თავადი, აზნაური, ვაჭარი, მთავრობა, მოხელე და ამ უკანასკნელთა შორის ბოქ ულიც კი, ერთი სიტყვით ყველანი, მტერი თუ მოკეთე, განურჩევლად მიმართულებისა, წოდებისა და მდგომარეობისა. ყველა ესენი დღეს გლეხის და სოფლის ჰირისუფლად ხატავენ თავსა, მათზე სწუხან, მათზე ზრუნავენ.

რა მოხდა ისეთი, რამ გამოიწვია ასეთი საერთო ყურადღება გლეხისა და სოფლისადმი? იმ გლეხისადმი, რომლის სამსახური ამ 7—8 წლის წინად მომეტებულ ნაწილს დღევანდელ ჰირისუფლებისას საძრახისად მიაჩნდათ და გლეხის სახელის გაგონებას კი მათში მხოლოდ უკმაყოფილების დიმილს იწვევდა; ძალა უნებურად გებადება ეს კითხვა და ამასთანავე გინდა გაიგო რაში იხატება ეს ახირებული ყურადღება ზოგიერთ უცნაურ მზრუნველისა და რა ღირსებისაა იგი.

სოფლისა და გლეხისადმი ასეთი განუსაზღვრელი ყურადღების მახლობელი მიზეზი ყველა ჩვენთ-

თვის კარგად ცნობილია, ყველა ჩვენ მრერ განცდილი და ამასთან ისე საგრძნობლად, რომ მისი დავიწყება ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელია. ეს მიზეზი გახლავთ წარსულ წლებში უკმაყოფილებისაგან გადმოხეთქილი პროტესტი, პროტესტი, რომელიც ჩვენში, საქართველოში, გამოიხატა მეტის ინტენსიობით, მეტის სიმკაცრით, რადგანაც საერთო მიზეზებს გარდა, რომელთაც გამოიწვიეს რუსეთის გლეხობის შერყევა; ჩვენ ქართველ გლეხებს, ჰქონდათ საკუთარი მიზეზები უკმაყოფილებისა, სახელდობრ ის გარემოება რომ, თუმცა წარსულ საუკუნის მე-20-ე წლებიდან მთელი 40 წლის განმავლობაში რუსის გლეხობისათვის ბევრი რამ გაკეთდა, ჩვენი გლეხი სრულიად მიტოვებული იყო და მის ცხოვრების გასაუმჯობესებლად თითიც არავის გაუნძრევია; ეს იყო მიზეზი რომ ჩვენში მე-20-ე საუკუნის დასაწყისში, გლეხში მოგროვილმა ბოლშამ მეტის სიძლიერით იფეთქა და ბევრს დღევანდელ მის ვითომდა მოკეთებებს თავხარი დასცა, დაუბრები აურიდა და იძულებული გახადა გლეხზედ აზრი შეეცვალა და სულ სხვა, მისთვის არა ჩვეულებრივ კილოზედ ააღაპარა.

გლეხსაც ყველა ამის შემდგომ თითქოს იმედი მიეცა, ეგონა რომ დადგა მისთვისაც დრო, როცა იგიც ყურადღების ღირსად შეიქნა და აუტანელი ცხოვრების პირობები ცოტად თუ ბევრად შეუმსუბუქდებოდა; მაგრამ სასტიკად მოსტყუვდა: მასუკან უკვე კარგა ხანმა განვლო და მისი ცხოვრება არსებითად იგივე დარჩა, როგორც იყო ამ ათიოდ წლის წინად. ჩვენი გლეხისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საადგილ-მამულო საკითხი, არამთუ დღესაც ხელუხლებელია, არამედ ჯერაც ბოლო არ მოღებია იმ სამარცხვინო ნაშთებს, რომელსაც ბატონ-ყმობა ეწოდება. თუმცა კი სათათბირომ გადასწყვიტა მისი მოსპობა, მაგრამ, როგორც სჩანს, განხორციელებამდის ჯერ კიდევ შორს არის, რაკი სახ. საბჭოს ჯერაც არ დაუმტკიცებია. 1906 წ. ნოქტომბრის უმაღლესი ბრძანება თითქოს გლეხის მოქალაქობრივ ვათანასწორების დასაწყისად უნდა ყოფილიყო, მაგრამ დღესაც გლეხობა განსაკუთრებულ კასტად ითვლება მართვა-გამგეობის მხრივ. ასე მაგალითად, საერთო სასამართლოთი მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში შეუძლიან ისარგებლოს. ეს კიდევ არაფერი, ადმინისტრაცია, მღვდელი, თავადი, აზნაური, ვაჭარი და ბევრი სხვა ამათი მსგავსი, რომელნიც, როგორც აღვნიშნე, დღეს სულ სხვა ჰანგებზედ ლაპარაკობენ და გლეხს თავზედ ხელს უსვამენ, ხალხის ძველებუ-



რად საყვლევად დარაზმულან, მაგრამ, დროის შე-  
საფერად, მხოლოდ ტაქტიკა შეუცვლიათ. ძველის  
განზრახვებით ახალ ქერქში გამოხვეულან, რათა  
სხვა სახით მოევიდნენ გლახს და ამით უფრო უკე-  
თესად ისარგებლონ. გლახისადმი ასეთი ქცევა, მას-  
ში ღრმა კვალსა სტოვებს, მასზედ ძლიერად და  
გამრყენელად მოქმედობს: რაკი ველარ გაურჩე-  
ვია მტერი და მოკეთე, რადგანაც ყველა ერთ ენა-  
ზედ ელაპარაკება, მოკეთესაც და ყველა კეთილ  
საქმეს უნდობლად, ექვის თვალთ უცქერის, მას არა  
სჯერა, რომ მის საკეთილდღეოდ ვინმე რამეს გაა-  
კეთებს, და ვერც კი წარმოუდგენია რომ ადამიანმა,  
თუ არა დაინტერესებულმა, მას ხელი გაუწოდოს,  
დაეხმაროს. ასევე ექცევიან თვით ერთმანეთს თა-  
ვიანთ საკუთარ სასოფლო საქმეში: ვინც კი მოექ-  
ცევა სოფლის საქმეს სათავეში აუცილებლად უნდა  
ისარგებლოს, მათთვის საზოგადო საქმე კერძო ინ-  
ტერესების — სარგებლობის გარეშე არ არსებობს.  
ასეა მოწამლული დღეს გლახის ფსიხოლოგია და  
ამიტომაც რომ ყველა ის ცოტა რამ კულტურულ-  
ეკონომიურ ხასიათის დაწყებულეა, რაც კი კეთ-  
დება დღეს ჩვენს სოფლებში, პირველ ხანებში დიდს  
დაბრკოლებას განიცდის. რადგანაც ის ხალხი, ვის  
სასარგებლოდაც იგი კეთდება, კარგა ხანს გარე-  
გარე უვლის, აღმაცერად უცქერის, რაკი არა სჯე-  
რა, რომ ესა თუ ის, მისის საკუთარის აზრითაც  
კარგი საქმე, კარგად დაბოლოვდება და ხელს არა-  
ვინ გაილოკავს. თუ მიუხედავად ამ გვარის მდგო-  
მარეობისა, დღეს სოფლად კულტურულ-ეკონომი-  
ურ საქმიანობის მხრივ შესამჩნევი რამ კეთდება, სა-  
ხელდობრ, მრავლდება სოფლად პირველ-დაწყებითი  
სკოლების რიცხვი, არსდება აქა-იქ საკვირაო სკო-  
ლები, სამკითხველოები, შესამჩნევის სისწრაფით  
ედება სოფელს საკრედიტო დაწესებულებანი და სხვა  
დარგის კოოპერატივები, მატულობს ქსენონები და  
არსდებიან სასოფლო გაზეთებიც კი; — ეს ყველა აი-  
ხსნება იმ გარემოებით რომ წარსულმა, ზემოდ აღ-  
ნიშნულ წლებში გლახის ცხოვრებაში განვილილმა  
ქარტახილმა, მას ბევრი რამ სასარგებლოც შე-  
მატა: გაუფართოვა მსოფლმხედველობა, გაუმრავ-  
ლა მოთხოვნილება და ნათლად აგრძნობინა საჭი-  
როება სწავლა-განათლებისა და ცხოვრების ნივ-  
თიერად გასაუმჯობესებლად დროის შესაფერ ორ-  
განიზაციების შექმნისა. ეს გარემოება კი თავ-  
დება იმისა რომ, თუ სოფლად მომუშავე შეგ-  
ნებულად დააყენებს საქმეს და შეუფარდებს სოფ-  
ლის ცხოვრებას დასაწყის ყველა კულტურულ-

ეკონომიურ საქმიანობისას, მაშინ უნდა იმედი  
ვიქონიოთ, რომ, მიუხედავად დღევანდელ საერთო  
ხასიათს დუხჭირ პირობებისა, ამ ნიადაგზე თვალ-  
საჩინო სარგებლობის მოტანას შესძლებს იქნება.  
მაგრამ სამწუხაროდ, სოფლად არსებულ უკვე დაწყ-  
ებულ საქმიანობას მომეტებულ შემთხვევაში სწო-  
რედ ეს შეფერება აკლია სოფლის ცხოვრებისადმი  
და ესაა მიზეზი, რომ ეს საქმიანობა ისეთს სარ-  
გებლობას ვერ იძლევა, რის მოტანაც შეუძლია  
დღევანდელ პირობებშიაც კი; რომ ეს ესეა ამას  
დაგვანახვებს თვითოეულ კულტურულ-ეკონომიურ,  
სოფლად არსებულ ორგანიზაციის და თვითოეულ  
შემთხვევაში ამ ნიადაგზე საქმიანობის ცალ-ცალ-  
კე განხილვა, რასაც შევეცდები შემდეგ წერილში.

მროველი.

### პეტრე ბაგრატიონი

(1765—1812)

VII

(დასასრული)

ნისლითა და ჯანყით იყო მოცული სოფელ  
ბოროდინოს ველ-მინდორი გათენებისას 26-ს მარტი-  
ამობისთვის. ნისლია გადიყარა და გამოაშუქა მზემ.  
ეს აუსტერლიცის მნათობიოა, თურმე უთქვამს ნა-  
პოლეონს.

პირის-პირ იდგა ორი საომრად დარაზმული  
არმია. ჯარის კაცთა რიცხვის რაოდენობა 300.000  
კაცს სჯარბობდა. მთელი დღე გუგუნებდა და გრი-  
ალებდა 700 ხარბაზანი. მხილველს ეგონებოდა,  
რომ აქ, ბოროდინოს ველ-მინდორზე მოზღვავებუ-  
ლა მთელი ევროპა — დასავლეთისა და აღმოსავლეთ-  
ისა. ამბობენ, კაცობრიობას არ ახსოვს ბოროდი-  
ნოს მზგავსი ომიო, ისე ძლიერი იყო თურმე გაბ-  
რაზება და გააღმასება მეომრებისა. მართლაც, მარ-  
ტო ნაპოლეონს მოუკლეს ამ დღეს 43 გენერალი.  
ფრანგებს მოუკლეს ბოროდინოს ბრძოლაში 60.000  
კაცი, ხოლო რუსეთმა დაჰკარგეს 58.000. აღვი-  
ლად დაიწერება ეს საშინელი ციფირი, უფრო აღ-  
ვილად ითქმის: ბრძოლაში გასწყვიტეს 118.000 კა-  
ციო, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ის გააფთრება  
ადამიანისა, ოდეს ერთის დღის განმავლობაში თით-  
ქმის ას ოცი ათასი ადამიანი ესალმება წუთის სო-  
ფელს...

ს. ბოროდინოსთან პეტრე ბაგრატიონის რაზმს  
ყველაზე სუსტი და უხვირო პოზიცია ექირა. რუ-



სის ჯარის ცენტრს, ანუ შუაგულს შეადგენდა ორი პატარა სერი; ერთზე იყო გამართული გენერალ რაევსკის ბატარეა, ხოლო მეორეზე 3 ბატარეა — ბაგრატიონის ფლეში.

დილა ადრიან პირველად ბრძოლა გააჩაღეს ფრანგებმა. ნაპოლეონმა ნიშანში ამოიღო სწორედ ზემოდ მოხსენებული სერები, სადაც გამართული იყო რაევსკის ბატარეა და ბაგრატიონის ფლეში. იერიშის მისატანად ნაპოლეონმა დანიშნა სახელოვანი მარშალი ნეი, რომელსაც ჰყავდა შვიდი დივიზია და მარქათად (რეზერვად) სამი ცხენოსანი დივიზია. დილის შვიდ საათზე მარშალმა ნეიმ შეუტია რაევსკის ბატარეას და ბაგრატიონის ფლეშს და ერთის საათის შემდეგ ორივე სერი ხელში ჩაიგდო. ერთის საათის შემდეგ ესე იგი ცხრა საათზე, ბაგრატიონმა უკან დაიბრუნა ფლეშები, მაგრამ 10-ს საათზე მარშალმა ნეიმ ხელ-ახლა წაართვა ბაგრატიონს. თერთმეტს საათზე თავადმა პეტრემ მოიშველია კონოვნიცინის დივიზია და 4 კავალერიის პოლკი, შეუტია კვლავ მარშალ ნეის და სერებიდან გადალალა ფრანგები. ამბობენ ეს ბრწყინვალე იერიშში თ. პეტრესი დასაწყისი იყო იმისი, რომ რუსის მხედრობა აპირებდა საერთო და საბოლოო იერიშსაო, მაგრამ სწორედ ამ დროს პეტრე ბაგრატიონს მოხვდა თქოში ყუმბარის ნატეხი და სასიკვდილოდ დაიჭრა.

დაჭრილი ბაგრატიონი მაინც გულს არ იტეხდა და ბრძოლის ველს თავს არ ანებებდა. იმის მოლოდინში იყო, აბა კირასირთა იერიშში რითი გათავდებოა. მაგრამ რაკი სისხლიდან დაიკალა და ძალზე დასუსტდა, ბრძოლის ველიდან გაიტანეს და მოსკოვს გაისტუმრეს.

ამბობენ, რომ ექიმებს ჰსურდათ ფეხი მოეჭრათ ბაგრატიონისთვის, მაგრამ ასეთს განზრახვას ექიმებისას დიდად გაუბრაზებია თავადი პეტრე და ამის გამო ექიმებს ხელი აუღიათ ფეხის ამპუტაციაზე.

ბოროდინოს ველ-მინდორზე 1839 წელს ააგეს ძველი იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ბრძანებით. სახსოვრად და ნიშნად პატივისცემისა აქ გაწყვეტილ 1812 წ., 26 აგვისტოს, მხედართა და მეომართა. იმპერატორისავე ბრძანებით გადმოასვენეს ს. სიმიდან თ. პ. ბაგრატიონის გვამი და მიაბარეს მიწას ძველის კვარცხლბეკთან.

ბაგრატიონის გვამის გადმოტანა ბოროდინოს ძველთან ასეთის ცერემონიით იქმნა შესრულებული: გვამი რომ ამოიღეს საფლავიდან, ჩასდეს ტყვი-

ის ყუთში, ხოლო თვით ყუთი მშვენიერ კუბოში. პანაშვიდის შემდეგ, კიევის გუსართა პოლკის აფიცრებმა და სამსახურს გარეშე მყოფმა ჯარის-კაცებმა კუბო დასდგეს სამგლოვიარო ბალოდანიშნად ეტლზე. კუბოზე დაასვენეს აგრედვე სმოლენსკის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც თურმე განსვენებული თ. პეტრე სიკოცხლეში არ იშორებდა და მუდამ ჯამს ლაშქარ-ომიანობაში თან დაჰქონდა, ხოლო სიკვდილის შემდეგ, მის საფლავზე ესვენა სოფელ სიმის სამრევლო ეკლესიაში. ხალხის სურვილი იყო თურე ხელით ეტარებინა სამგლოვიარო ეტლი და ისე მიესვენებინა გმირთა-გმირის გვამი ს. ბოროდინოში.

ბაგრატიონის სახელის უკვდავ საყოფელად და სამუდამოდ აღსანიშნავად მისის ხსოვნისა რუსთა მხედრობაში იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ბრძანებით უსტიუგის 104 ქვეითა პოლკს ეწოდა სახელი თავად პეტრე ივანეს ძის ბაგრატიონისა.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 31 აგვისტოს 1812 წელს ასეთი რესკრიპტი უწყალობა თ. პეტრე ბაგრატიონს: „თავადო პეტრე ივანეს ძე, სიამოვნებით და ხალისით მსმენელი თქვენის დევგმირობისა და ერთგულის სამსახურისა, ფრიად შევსწუხდი თქვენ მიერ მიღებულ ჭრილობით, რომლის გამო იძულებული შეიქმენით დროებით დასტოვოთ ბრძოლის ველი, სადაც თქვენი ყოფნა დღევანდელს ვითარებაში ასე საჭიროა და სასარგებლო.

გისურვებთ და იმედიცა მაქვს, რომ უფალი მალე გიწყალობებს განკურნებას, რადა კვლავ შეიმოსოს პატივითა და დიდებით ღვაწლი და საქმიანობა თქვენი. — ამასობაში გიწყალობებთ ერთდროულად 50.000 მანათს, ისე კი არა ვითარცა ჯილდოს თქვენის ღვაწლისას, რომელიც მოგეცემათ სულ ცოტა ხნის შემდგომ, არამედ როგორც მცირედს დახმარებას და შემწეობას“.

დასასრულ, არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავტოვოთ ბ-ნ ზ. კიჭინაძის ზოგიერთი ცნობანი შესახებ პეტრე ბაგრატიონისა. ბ-ნ ზაქარიას სიტყვით, თავადი პეტრე დაიბადა საქართველოში; თექვსმეტის წლისა ყოფილა იგი, მამიდას, თავად ლ. ა. გოლიცინის მეუღლეს, რომ დაუბარებია თავისთან პეტერბურგს, სადაც იგი სასწავლებელში მიუბარებია. რუსული წერა-კითხვა თურმე აქვე, საქართველოში სცოდნია თ. პეტრეს და პეტერბურგში მხოლოდ განვითარებულა ამ უცხო ენაში. ზაქარია გადაჭრით და უდავიდარაბოდ გვარწმუნებს, რომ თავადმა პეტრემ ორის წლის სწავლის შემდეგ ისე შე-



ისწავლა რუსული, ისე კარგად სწერდა ამ ენაზე, ისე ლაპარაკობდა რუსულად, როგორც ნამდვილი რუსიო. წმინდა, ტიპიური ქართველური სახე რომ არა ჰქონოდა თ. პეტრეს, ვერაფერს შეატყობდა, რომ იგი ნამდვილი რუსი არ იყო. იმასაც გვაუწყებს გულუბნევი ბ-ნი ზაქარია, რომ ქართველებმა 1765 წლიდან სავალდებულოდ გაიხადეს რუსულის ენის სწავლება, როგორც არაბულისა, სპარსულისა და ოსმალურისაო.

ერთი დიდი და თვალსაჩინო ნაკლი აქვს ზაქარიას საყურადღებო ცნობებს—არ გვეუბნება, თუ საიდან შეიტანა თავის წიგნაკში ეს ცნობანი, რი წყაროა ის წყარო, საიდანაც ასე უხვად ამოალაგა ეს საბიოგრაფიო მასალა თავად პეტრე ბაგრატიონისა.

წელს, ტფილისშიაც, რამდენჯერმე წარმოადგინეს თეატრში სცენები სამშობლო ომისა. არტისტი, რომელიც თამაშობდა პეტრე ბაგრატიონს სეთის დანჯღეულის და ავლაბრულის რუსულითა ლაპარაკობდა, რომ მსმენელნი სიცილით იხოცებოდნენ.

ნეტა მაშ ვინაა მართალი, ზაქარია, თუ რუსი არტისტი?

ალ. ფრონელი.

**ჭუთაისის ქართულ გიმნაზიაში**

მე მინდოდა მენახა ქუთაისის ქარ. გიმნაზიის ახლად აგებული შენობა და შემედარებინა თბილისის ქართულ გიმნაზიის შენობისთვის, მინდოდა მენახა ჩემის თვალთ ის ძალა და ძლიერება, რომელიც ქართველს აგებინებდა ძველად სარწმუნოების ძეგლებს და ახლა აშენებინებს მეცნიერების ტაძრებს და ამ განზრახვით მივუახლოვდი მშვინიერს, უშველებელს ეზოში გადაჭიმულს სასახლეს და გულის ჩქროლვით შეველ თვალუწვდენელ მაღალ სკოლის ტალანში, რომელიც შემოდგომის მზის შუქით იყო ვაჩაღებული და, ნანახით აღტაცებულმა, შევძახე: არა, არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და როდესაც გაიღვიძებს თავზარს დასცემს, გააოცებს, ძველ დროთ კიდევ გაიხსენებს, მტერთ შემუსრავს და მოყვარეთ გაახარებს! და დაბრუნებას ვაპირებდი. 12 საათი იყო, ყველა კლასში სწავლა დაწყებული იყო და როგორ გავბედავდი შიგნით შესვლას, რა უფლებით დავარღვევდი მოწაფეთა მეცადინეობას?

მაგრამ გიმნაზიის უფროსმა და ნამდვილმა მა-

მამ, ბატ. ოცხელმა ჩემი სიამოვნება და სიხარული გიმნაზიის გარეგანის ნახვისა გაათავსა იმითი, რომ მიმიწვია ახალგაზდობით პირამდინ სავსე / კლასებში და წარმადგინა მოსწავლეთა და მათ ხელმძღვანელ-მასწავლებლებს.

გიმნაზიის მამ

ვინც კი, ჩემებრ გულ-გატეხილი აწუყოთი, შესულა ოდესმე ათასობით სავსე მოსწავლეთა ტაძარში, მხოლოდ ის მიმიხვდება სავსებით, თუ რა ბედნიერება ვიგრძენ ამოდენა მოზარდის თაობის დანახვით. მზად ვიყავი ლოცვა-კურთხევით პირჯვარი გადმეწერა აქაურობისათვის, ზეცისთვის მაღლი შემეწირა, მაგრამ მღელვარებით ენა დამება, გული ამიჩუყდა... და ჩუმად რაღასაც ვბუტბუტებდი.

— ბატონო ეკატერინე! უცებ მომესმა ერთის მოზარდის ხმა: მე მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ თქვენი ნაწერების შესახებ.

— ყრუ ვარ, შვილო, რას გავიგონებ მე ვაგლახი.

— ვეცდები გავაგონო, მითხრა სახე გაბრწყინვალეულმა ჭაბუკმა და მამიახლოვდა. მე წელზედ ხელი მოვხვიე, გულზედ თავი მივადე და სმენას ძალა დავატანე.

„შესამე კლასში ვიყავი, დაიწყო ყმაწვილმა, და ქართული წიგნი არ წამეკითხნა, მხოლოდ ვსწავლობდი სავალდებულო სასწავლებელს, ვამზადებდი გაკვეთილებს. არც შინაურები მიღვიძებდნენ კითხვის სურვილს, მშობლიურ ენის სიყვარულს. ჩემი გონება და გული ჩუმად იყო. ერთხელ ვილაცამ მომცა წასაკითხად თქვენი მოთხრობა „მაგდანას ლურჯა“ და წავიკითხე. დიახ, წავიკითხე და წანაკითხმა გული გამითბო, გონება ამიმოძრადა, თვლებზედ ცრემლი მომადინა და ქართული კითხვა, ქართულად აზროვნება შემაყვარა. მას აქეთია თქვენც მიყვარხართ და ჩემს სიყვარულს საზღვარი არა აქვს, რომ დღეს თქვენ, ჩემ გამამაფხიზლებელ ადამიანს გხედავთ და დიდს მაღლობას გიძღვნით“...

ლაპარაკის დროს ახალგაზდა მთლად ცახცახებდა და მე ვტიროდი. ვტიროდი ნეტარებით და ვმადლობდი განგებას, რომ მამასწრო მომესმინა ჩემის ყურით ის გულიდგან გადმონადენი წრფელი გრძნობა, რომლის დარგვას ყრმათა გულში მე ვნატრობდი.

კიდევ სხვა ყრმამ მითხრა სიტყვა, კიდევ სხვა ყრმამ გამიმჟღავნა თავისი სიყვარული და პატივისცემა და ჩემი გული აღავსო უზომო სიხარულმა და ღმობიერებამ.

რა ვარ მე, რითი მივალწიე ყრმათა გულამდე?



ვეკითხებოდი ჩემ თავს და რა იქნებოდა მაშინ, რომ ჩემ ქვეყანას მოვლინებოდა, არა უფერული, მხოლოდ მგრძნობიარე დედობილი, არამედ ნამდვილი მირონცხებული და შალალის ნიჭით გაციკროვნებული მშობელი?!

— დვრიტაა საჭირო და ნიადაგის შემზადება, ბრწყინვალე მომავალი თითონ მოვა, ამითი ვინუგეშე ჩემი თავი და ქუთათურ გიმნაზიელთა პატივი და სიყვარული გულს დავიქდიე.

სწავლა დასრულდა, ხარის ხმაზედ ათას ორასი ყმაწვილი ზღვასავით გადმოსკდა ფართო ტალანში და ეს აუარებელი დუნდგო, ეს სიცოცხლით სავსე ჩვენი მამავალი სიმდიდრე გარს შემომერტყა ტაშის კვრით და ვაშას ძახილით... ღეროთო ჩემო, რა ფიქრებმა არ გაიღვეს ჩემ ბედკრულ გულში, რა იმედებმა არ გაიღვიძეს ჩემ მაშვრალ სულში! რა გვარ ბრწყინვალე რაზმებად არ დეეწყვნენ და რა გვარ თვალ-წარმტაც მომავლისკენ არ წამიტაცეს!

ისწავლეთ, ისწავლეთ, შვილებო! „თუ აწმყო არა გვწყალობს მომავალი ჩვენია!“

ექ. ვაბაშვილისა.

# უფსკრული

(მარია ტუყიმიდამ)

ისინი ერთმანეთის ჰიბდაჰირ იდგნენ... კაცი, გატანჯული ჭკმშარბიტების უნაყოფო ძიებით, წამებული ბრძოლით არსებობისთვის, ადვილი სიტკბოების წყურვილით, რამეღინ მას ნირვანას დაავიწყებდა, მიმზიდველს ცივი, უძირო, წუვდიად უფსკრულით, — უფურება ქალს ვედრებითა და შიშით აღსავსე თვალებით. ქალი, — ადგზნებული ბრძოლით, ამაყი — გამარჯვებით, ძლიერი მონებულ თავისუფლებით, უმზერდა მასა სიცილით, რითაც მის ხატვიზულ დაწვებზედ სისისდისიერ ლაქებს ანთებდა.

— მითხარ, ვინა ხარ? — ძლივს წაიჩურხულა კაცი — მე მსურს... მე უნდა შევიგნო შენი არსება... ახსადე რიდე სულსა შენსა, გადამიშადე საიდუმლო სიდრმენი შენის არსებისა. ვაყუელ არსების დასაბამის კაკება უფრო ადვილია, უმაღ საშუაროს საიდუმლოების გამორკვევას მოვესწრები, ვიდრე შევიგნებ შენსას რასმე, შენს მთქმედებას, სურვილს და მისწრაფებათა. ხან შენში ვხედავ ასს სულსა, ხან კი ვეღარც ერთს. ხან ჩემ იყრხათა ხარ, მონა ხარ ჩემი, ხან კი მტარვალდი... გუდახდილი ხარ, როგორადაც უღვარება შხისა... და იმავე დროს სტუუი, როგორადაც არ სტუუის არც ერთი ქმნილება, შენს მეტი. შენ აღერსისა მთხოვ მხურვალე ბავით და

მოკლვარე თვალებით, ათროლოლებული მეგრდისა ძიკრით... მაგრამ როდესაც ბავითა ბავს დაგვეკნები, და შენნი თვალი ჩემ თვალებში იძინებინ, როდეს მიბნედილ გულოთ გუელს ვეძებ შენსას, — შენ სწრაფლ ხელსა მკრავ... შორს გამიბიხარ... ან თუ ჩნებ ჩემთან, სტუუი, თვალითაქცობ, მღალატობ! როდესმე, როდესაც ჩვენ არაა გვაკავშირებდა, ხორციელ გრძნობისა მეტი, მე ვგრძნობდი, რომ შენ „ძვლი ხარ ძვლისა ჩემისა და ხორცი ხორცისა ჩემისა“. ვგრძნობდი, რომ ნაწილი ხარ ჩემი, და ბედნიერი ვიყავ შენთან. ეხლა კი ხელიდან მისხლტები და გამიბიხარ. და რაც უფრო მეტად მშორდება, მით უფრო მეტად მწყურებიხარ, რაც უფრო ხაკლები ხელთ შეეგხარ, მით უფრო მეტის სეკდითა მოგსდეუ, — რადგან ზენამან ჩემთვისა შეტქმნა, ჩემად დაგსასა.

საიდუმლოდ დიმილმა, ზიზლით შეზავებულმა და სიმწარითა, რომელიც აფრქვევს დტანჯვის და მსუღვარებისა სხიუებს, ძლივამასილმაც თითქო და იმავე დროს სავსემ სეკდითა, შექბურა სახე ქალისა, როგორადაც ხშირმა, მაგრამ გამტვირვალე ჩისდმა. მხოლოდ ახილულ ახლად თვალთავან გამოკრთა შექი რადცა, — კაცი შექზარა.

ქალმა წარმოსთქვა:

მან შენთვის შექმნა... შენს ნებას მიმცა... ჩემს ბრძანებულად, უფლად კაკხადა... და შენც მიფლობდი და მბატონობდი... რაღა გწყურთან მეტი? ცინდა გაიგო ვინა ვარ? აკი მიცნობდი ერთ დროს, როდესაც ჩვენს არსებობის გარიურავზედა... მაშინ, როდესაც მან შექმნა „მსგავსად შენისა, შენსაც მამეკლად“.

ვერა მცნობ განა?... წლითი-წლამამდე, უკუნითი უკუჩისამდე, ათას წელთა განმავლობაში მეტრძობდი... მახრლობდი... არ იცი, ვინა ვარ მე? ვერ შეგიგნივარ? მე ვარ მკვდრეთით ამდგარი სული ქალისა! ის სული, რომელიც ვერ დააკმაყოფილა სამოთხის სიტკბოებამ, არამედ სურდა ვევეჯათორის შეტნება, ვევეჯათორის ცოდნა. ის სული, რომელმაც მოსწყვიტა ნყოფი ბორბიტებისა და სიკუთის ხიდან, მორბოდა შენსკენ, აღსავსე სიხარულით და ბედნიერებითა და შემოგძახა: „წადი და სჭამე, რათა ჩვენც დმერთები ვიუვხეთ!“ შენ აიდე ის ნყოფი, რომელსაც თვალნი უნდა აენილხა, შენთვის... ჩემის ხელიდან აიდე იგი და სჭამე, ვინაიდგან შენც გსურდა... „ვით დმერთათა“ — უოფნა... მაგრამ, როდესაც შეგვეკითხა უფალი, რად სჭამე იმ ხიდგანაო, — შენ, შექმნილმა მის მსგავსად, შენ, ხელმწიფე და მხურბულთ სამყაროისავ, — შენ შეგვემინდა შენის სურვილის, შეძრწუნდი საქციულითა შენით და მე გადმომდე სავსებით ბრადი.



„მისი წვევა ტვირთად დამაწვა მძიმედ... გამრავლდნენ ტანჯვანი ჩემნი და სენნი... და ბატონობა დამდგა შენი—მძიმე უღლად, — რადგანაც მას სურდა ასე. და რქვა მან: „თქვენი ადამი იქნა ერთი მსგავსტგანი ჩვენი, ბოროტება და სიკეთე იმტნო; არ გასიწოდოს აწ ხელი ხისაკენ ცხოვრებისა, არ იღოს ჩუოფი იგი შეჭმად და უკვდავ არ იქმნეს?“ და წარვედით განდევნილნი სამათხისკან, „წვეულ შრამისათვის დედა-მიწაზედ, რომელიც აღმოატენდა ღვარძლსა და ეკას... მშუშაკად თულოთ ჩვენითა დღენი ჩვენნი“... მაგრამ ჩვენ „სიკვდილით არ დავიხორციენით“, რადგან მე ჩემში უკვდავება წარვიღე... ჩემით წარმოსდგა განახლება ადამიანისა...

უკუნიოი უკუნისამდე, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. და მოუხედავად ჩემის ტანჯვების გამრავლებისა, მოუხედავად ჩემ სხეულებათა დაუსრულებელ გრებილისა, — მე შევიფარე უკვდავება ჩემში, იგი ვაქციე მშობლის ხელაქმნილ შემოქმედებად. შენც შეგიფარდა იგი... მაგრამ შენში იგი ვნებად გარდიქმნა, სიტკბოებისა წუგრვილად და ბატონობად. შენ იცოდი, რომ მე შენთვის ვიგდე ხელთ უკვდავება, რომ მე გაძლევ მას შენ, — და შეგეშინდა, არ წამეკრამია იგი შენთვის, რომ ტანჯვით და სენით არ გაემარჯვნათ ჩემზედ. მოცემული უფლება, ჩემი ნებისა მისაკლავად იხმარე, რომ აღმოგეთხერა ჩემში ძალა, მიწწრაფება უკვდავებისადმი.

„ხელი შენი ტვირთად თავს შედგა და ძალმა შენმა მიწას გამართოს. შენს ხელში, გარდვიქმენ მე იარაღად, მკვდარ იარაღად სიტკბოებისა. როცა ვიღვიძებდი — კოცნითა მსწოვდი სულისა ჩემსა და შიგ ჰხოვებდი შემოქმედების, იმ შემოქმედების, რომელითაც ასე ამაოებ ეხლა.

„მითხარ: გაბრწვინდა ერთი ჰენიოსი მაინც, მოიზოვება ერთი უკვდავი შრომა, რომელიც არ იყო სულხადგმული ქალისკანა!?

„მიჩვენე ხელფანი, მიჩვენე ბრძენი, წინასწარმოტუველი, რომელსაც გვერდზე ქალი არ ედგას და რომელიც მას არ დასწავებოდეს აღმასურენისთვის. მარა, როცა გორდაც სიუვარულში, შენ იქამდე იკლავნები გველივით ჩემს თვითა ქვეშე, ვიდრე სრულიად დაგნებდებოდე. ვიდრე სრულიად ჩავინაქმებოდე შენში, აგრედგე შემოქმედებაშიც: წაიღებ ჩემგან უფუელივს. რაიც ვაკლია და გადამისერი, როგორც გამწოვილს ხაოფს; აღიმართები შემოქმედი და წამებუდი და უთაიებ ჩემზედა ზიზღით: „უფურეთ, ესა ჩემს მსგავსად შექმნილია, ჩემი მსშველი!“

„ნუ მიტქერ მაგრე!...  
„ვიცი, რასაცა ქუფირობ. მკითხავ, რად გაძლევ ნებას გამომწოვო ჩუოფივითა? მე კარგად შესმის, რადან. ჩემი სხეული მშობიარებისკან, რომელიც შეად-

გენს შენს ერთად-ერთს უკვდავებასა, — დასტკნა, დასუსტდა, გული ეი კეთილი მაქვს, დასავსე სიუვარულითა და თავგანწირვით — ამისათვის მიუღობ. ამით, მიძობებ.

„მაგრამ მანც იცის შურისძიება.  
„რომ ჩამოკეცვა ანგელოზნი წველანდუთსურულში, რომ ჩვენც განვვადებთ სამათხისკან... ისინიც და ჩვენც იმისათვის, რომ ჩაწილი ვიგრძენათ მისი ჩვენში, და მოვისურვეთ უფება, ვით იგი.

„შენ ამბობ, — თუ ვილაც ჩემთან კარგად გრძნობდი თავს, როდესაც ჩვენ მხოლოდ ხორციელი გრძნობა გვავსებდებოდა... შენი. განა იკითხე რადისმე — მეც ვიუპო, თუ არა გამოთვლილი შენთან? ვიუპო კარგად, როდესაც მე, — დედა შამომავლობისა, — მსუვლად მაქციე? რასა ვგრძნობდი, როდესაც ხელს შერადი მოსიუვარულეს მხოლოდ იმისათვის, რომ სხე დამიტკნა და თვალებმა ეღვარება დაჰკარგეს!?. არ როდესაც, თდნავ გაღვიძებულს სიგონხლისათვის — შენს, სიბერისკენ გაუიხულ სისხლსა ჩემის სითბოთი მათბობინებდი?! რასა ვგრძნობდი, როდესაც თრ ნაწილად ვამუავ: ერთსა უბრძანე, რომ კმეა მხოლოდ და შენი მთამომავლობა განეხნებინა, და შეარე, როგორც საკლავი, გამოივანე ბაზრად და ჰვიდდი?! რასა ვგრძნობდი, როდესაც შემზიზღდა შენი ზური, ის ზური, რომელსაც მოხობის და დამცირების თვსად მადლევდი? მოვისურვე, თვითან მე მომეზოვნა იგი, მომეზოვნა ბრძოლით უფუელი ნატეხი, უფუელი ჩამტეცი, შენი ზარიდგან ჩამოვარდნილი, თითქო მეც იგივე უფლება არა მქონოდა ცხოვრებისა, როგორც შენა!?

„შენი ბატონობის წელობით, დამაფაწუდა რომ უკვდავი სული ვიუვაი...

„შენს უღელ ქვეშა თვალთმაქტობას შეეჩვიე ცბიერს დიმილსა, გკოცნიდი და ვეძლეოდი შენსა ვნებასა მაშინ, როდესაც მძულდი, შეზიზღებოდი.

„მაგრამ, — აივსო თვითა ტანჯვათა ჩემთა, შენი ბრძანებლობა აუტანელი განდა ჩემთვისა.

„სინათლისათვის დასრუვდიანდი, იმ სინათლისთვის, რომელსაც ასე გულმოდგინედ მიჩრდილავდი საუკუნების განმავლობაში. ეხლა ავგანუდი. შემოვიღეწე ბოროტნი, რომელითაც ნებასა შენსა მიძობე მე — თავისუფალი... მე — უკვდავების მტარებელი... მე, შენსაებრ, მის მსგავსად შექმნილი.

„მოვიდექი გვერდს არა როგორც მშველელი, შენ მსგავსად შექმნილი, არამედ როგორც შურის მძიებელი ჩემის სულისა, რომელსაც იგი ვერ მოგცემდა შენ, რადგანაც სული ჩემი — ტოლია შენი, მისი სულია. მძულვარე განხდი შენთან ბრძოლისთვის და წვეულ იქმნება შენთვის სიგონხლე.

„უფელა ქალისა მაგიერ, მონაბიით დამცირებულის, შურს მე ვიძიებ შენგან.



„უკვლავ ქალის მაგიერ, რომელსაც არ განუცდია სიტკბოება დედობისა, შურს მე ვიძიებ შენგან.“

„უკვლავ შენვე ქალის მაგიერ, რომელიც მთელი მთელი წამს დასისხნის გულსა — შურს მე ვიძიებ.“

„უკვლავ შენვე მთელი მთელი წამს დასისხნის გულსა — შურს მე ვიძიებ.“

„უკვლავ კაცის საზღაოდ, რომელსაც სწავდნენ კუდიანებსა, შურს მე ვიძიებ.“

„ამის მომქმედი უკვლავ — შენა ხარ... შენ, რომელსაც გსურდა ჩემი ქედისა მხრისა, ჩემი სულისა, — შენის სწორისა.“

კაცი მუხლთ ჩაუფარდა ქალსა განუღებულად, უგონოდ თითქმის და მთრთოლვარებით, ატყუებულ თვალით შეხედვასს ეკუდრებოდა.

— მშვენიერი ხარ ეგრე მრისხანე, ეგრე მძულვარე... დაშინაშავე ვარ! მიუურე... მე შენს ფერხსა ვარ... არ მოვიცვლი ფეხს; ვიქმნები შენი მსახური...  
ფიანდასადა ფერხთ გაგეშლები...

ჩემთა აზრთაგან მხოლოდ ღონეებსა შეგითხზავ შენა... უკვლავურს ვიზავ... უკვლავს მივწვდები...  
ოდონდ... ნუ, ნუ წამართმევ შენსა სხეულს, შენსა სხეულს, მშვენიერ სხეულს...

საიდუმლო დიმილით შებურვილსა ქალის თვალებში, გამოკრთა ცუცხლი, მწვანე-შემზარი, რთვარც გადაება უნუგეშო სასოწარკვეთისა, ... და ჩაქრა!

— ნუ მომაშორებ აღის ფერ ფიანდს შენის პაციისა, მაგისი ფერი მიხრდილავს საშუარის უკვლავ ევაბილებს, ემუდარებოდა ფერხთითა კაცი.

— ნუ იფარავ შეკრდს. თვალს ნუ მაშორებ — ელვარება უამესია მათი — მზის სინათლეზედ. შენი სისხლი ნუ შეახერხებს ჩემთვისა ჩქეფას, მაგის მუსიკა საშუარის წარმონაზვად მომსიბედელოა...

კაცი დაემხრო ქალის ფერხთა ქვეშ და მხოლოდ აზურობილი ხელებით-და ეკუდრებოდა ამბარს. ქალის თვალებმა საიდუმლო ბარბრ დიმილით იწვეს ელვარება უფრო და უფრო მრისხანედ.

უკვლავ, რთვარც მზე დილის რთვარცად ამბობწეინდება ხისლიდგან, და სტუარცნის თქრის სხივებს სივრცეში, საიდუმლო ბურუსიდგანსა, შეებურა რა მელსაც მის მრისხანე, გადმოსქდა ტალღა მწარე დაცინვის. ტალღა იგი დაეცა მწილარ კაცს თავზედ და, რთვარც ქვითინი სამუდამოდ დაკარგულ ბედნიერებისა, განიბნა მიწად.

დედამიწა კი შეკრთა-შეთრთოლდა ამ ქვითინ-სიცილითა.

ბ. გ-ისა.

### ქართველ-სომეხთა სოლიდარობა და სრულიადსაქართველოს „დურაკები“

რა არის სოლიდარობა საზოგადოთ, ყველამ იცის. მაგრამ რა არის ქართველ-სომეხთა სოლიდარობა კერძოთ, ეს ბევრმა არ იცის. ახსნა ამისა მით უფრო საჭიროა, რომ ქართველ-სომეხთა „სოლიდარობა“ ზოგიერთ დარგში უკვე განხორციელებულა.

ესთქვათ, თბილისში ვინმე სომეხ ჯაბარს თავისი საკუთარი ორგანო აქვს. ჯაბარი სომეხია და რაკი სომეხია, რაც უნდა იყოს, ჰკვიანიც არის. ესთქვათ, იმავე თბილისში სცხოვრობს ვინმე ქართველი ჟურნალისტი — ნიგოიტსკი. ჟურნალისტი ნიგოიტსკი ქართველია და რაკი ქართველია — დიდი „დურაკი“. ახლა ყური უგდეთ. თუ ჰკვიანი სომეხი ჯაბარი და „დურაკი“ ქართველი ნიგოიტსკი ერთად ლანძღავენ საქართველოს, აი, ნამდვილი ქართველ-სომეხთა სოლიდარობაც ეს არის!

ახირებული აზრია, მაგრამ რას იზავთ. იძულებულნი ვართ აღვნიშნოთ, რომ ამის გარეშე არც არსებობს აქამდე ქართველ-სომეხთა სოლიდარობა. თუმცა არის კიდევ ერთი სახე ამ სოლიდარობისა. ქართველ-სომეხთა სოლიდარობა შეიძლება კიდევ იმ ნიადაგზედ განმტკიცდეს, როცა სომეხი ისევ ისე ჰკვიანია და ქართველი თუ „დურაკი“ არა, სულ ცოტა, არამზადა მაინც არის. აი, ამ უკანასკნელ პირობის გარეშე კი ქართველ-სომეხთა სოლიდარობა, მართლაც, აღარ არსებობს.

ჩვენ არ ვიცით სხვა მაგალითი როცა ქართველ-სომეხთა სოლიდარობა ორივე მხრიდან ჰკვიან და პატროსან ადამიანთა ურთიერთობაზედ იყოს დამყარებული. მუდამ ისე ხდება, რომ სომეხთა მხრიდან ჰკვიანი და „პატროსანი“ ადამიანები გამოდიან, ქართველთა მხრიდან კი — „დურაკები“ და არამზადები.

თბილისში ვერ ნახავთ ვერც ერთ გაზეთს, რომელიც სომეხის ფულით იბეჭდება, რომ თითო „დურაკი“ და თითო არამზადა ქართველი არ იჯდეს შიგ და ტლაპოსა და ტლაახს არ გვესროდეს. იქნება იკითხოთ, რათა? რასაკვირველია, ქართველ-სომეხთა სოლიდარობის გასამტკიცებლათ. და მართლაც თუ არ ეს სრულიადსაქართველოს დურაკები და სრულიადსაქართველოს არამზადები, ქართველ სომეხთა სოლიდარობა არც კი იქმნებოდა.

თვით სომეხების აზრით, ქართველები მხოლოდ სომხიქამიების, პროვოკატორების, შოვინისტების და პატრიოტების ნაცია არის. და მხოლოდ აქა-იქა,



კანტი-კუნტად თუ მოიპოვებინ ისეთი სოლიდარული და კეთილშობილი არსებანი, როგორც ნიგოიტსკები, სხვა და სხვა პავლოვიჩები და კიდევ რამდენიმე, ყოვლად პატიოსანი და დიდად ჰკვიანი“ ქართველები, რომელთათვის ქართველ-სომეხთა სოლიდარობა სინიდისის და რწმენის საქმეა.

ცოლ-ქმარნიც კი ვერ სცხოვრობენ ისე, რომ უსიამოვნობა არა ჰქონდეთ. ჩვენა და სომხები კი ცოლ-ქმარნიც არა ვართ, მაგრამ როგორ შევიძლიანთ სომხებზედ რამე სთქვათ; თუნდ ისეთი უღანაშაულო, რომ—სომხებს დიდი ცხვირი აქვთ!

მგონი, აქ საწყენი არა უნდა იყოს რა, რადგან არც ქართველებსა გვაქვს პატარა ცხვირები, მაგრამ მაშინვე სრულიადსაქართველოს დურაკები ბუკსა და ნალარას სცემენ და მოწინავე პოზიციებზედ გარბიან.

— თავს უშველეთ! ჰყვირიან სრულიადსაქართველოს დურაკები.

— სომხებო, უშველეთ თქვენ ცხვირებს, ქართველები მათ გაჟღეტას აპირებენ.

და სრულიადსაქართველოს დურაკები ჩაშლილ სოლიდარობას ისევ ფეხზედ აყენებენ.

— წაიკითხეთ? ამბობენ მაშინ საზოგადოებაში.

— რა?

— როგორ თუ რა?! სჩანს თქვენ სრულიად საქართველოს დურაკი არ წაგიკითხავთ... მე კი წაგიკითხე... იცით რა?... ცხოვრება გაძნელდა...

— ვიღონოთ რამე... არ შეიძლება ჩვენც დაგსწეროთ?..

— სრულიადსაქართველოს დურაკის წინააღმდეგ? ღვთის გულისათვის, ეგ არ ჩაიღინოთ! მაშინ ხომ მთვარეზედ გადასახლდა და იქიდან დაგვიშინა...

— იცით რა? ისევ ისა სჯობიან, სომხებთან იყვეს, დეე, იქიდან გვლანძლოს. ეს ისე საშინელი არ არის. საშინელი ის არის, თუ სრულიადსაქართველოს დურაკი მთვარეზედ აცოცდა!

ასეთია მაშინ სჯა-ბაასი საზოგადოებაში და ყველა ერიდება სრულიადსაქართველოს დურაკს.

ამას წინად ერთმა სრულიადსაქართველოს დურაკმა მითხრა:

— თქვენ გგონიათ მარტო ქართველ-სომეხთა სოლიდარობაზედ შემიძლიან წერა?! სცდებით! შემიძლიან ოსმალეთ-ბალკანეთის სოლიდარობაზედაც ვწერო, მაგრამ როცა ეს აზრი ჩემ სომეხ რედაქტორს გაუუმტლავნე, მხარზედ ხელი ჩამომისვა და, იცით რა მითხრა: ჩემო დურაკო! შენ განსაკუთ-

რებით ქართველ-სომეხთა სოლიდარობაზედ უნდა სწერო. ბალკანეთზედ ჩვენ თითონ დავსწერთო.

— ჩვენი მდგომარეობა მეტად ძნელია! ამოიოხრა სრულიადსაქართველოს დურაკმა...

რას გაძლევენ წერაში? შევეკითხე სულ გულუბრიყვლოდ დურაკს.

— ცოტას! გროშებს! ხანდახან ფულის მაგივრად ადგილებს გვაძლევენ, მაგრამ ესეც ხომ ფულია.

— რასაკვირველია!

ერთი სრულიადსაქართველოს დურაკი უადგილოდ იყო. სამი წერილი დასწერა ქართველ-სომეხთა სოლიდარობაზედ და მეოთხე წერილის დასწერა ვერ მოესწრო, რომ უკვე ადგილი მისცეს. სრულიადსაქართველოს დურაკმა იმ წამსვე ჩემთან მოირბინა და მითხრა:

— რა სულელები არიან სომხები: საკმარისია ერთხელ გალანძლო ქართველები და „უბრადაში“ უკვე ადგილი მზად არის! რატომ არ გინდათ, ერთი თქვენც გალანძლოთ ქართველები? იმ წამსვე ადგილს მიიღებთ!

— მე უფრო სომხების ლანძღვა მებაღისება! უთხარი განგებ სრულიადსაქართველოს დურაკს, თუმცა მე იმ აზრისა ვარ, რომ ქართველ-სომეხთა სოლიდარობაში, საზოგადოთ ვისმე ლანძღვას, და მეტადრე სომხებისას, ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

— არც ეგ არის ურიგო, მაგრამ მაგისტვის რომ ფულს არავინ მოგცემს.

აქ სრულიადსაქართველოს დურაკმა უბიდან თბილისის თვითმართველობის მოსამსახურეთა სტატისტიკა ამოიღო და წინ დამიწყო.

— აი, ნახეთ! ათას მოსამსახურეში სამას ორმოცდა ათი ქართველია! ეს ხომ მესამედზედ მეტია. და როგორ გგონიათ, რად უღირს ეს სამას ორმოცდა ათი მოსამსახურე საქართველოს? ორთა შუა რიცხვით, თითო კაცზედ რომ ათი გალანძღვა ვიანგარიშოთ, სამი ათას ხუთასი ლანძღვა გამოვა. რა არის სამი ათას ხუთასი ლანძღვა საქართველოსთვის, იმ საქართველოსთვის, რომელიც, სულ უკანასკნელი, სამასი ათასჯერ მაინც გალანძლულა.

აქ სრულიად საქართველოს დურაკი კარში გავადე და დავიწყე ფიქრი ქართველ-სომეხთა სოლიდარობაზედ. მაგრამ, მკითხველო, მე იმ აზრისა ვარ, სამას ორმოცდა ათი ქართველში ყველა დურაკი არ არის და სრულიადსაქართველ. დურაკი სცდება, თუ ჰგონია, რომ ყველა მათ ადგილი ქართველ-სომეხთა სოლიდარობის ასე „განმტკიცებით“ მოუპო-



ვებით, როგორც სრულიადსაქართველოს დუ-  
რაცს.

**ფარსმან ფარუხი.**

**ეშრნალი „შრომის კავშირი“ № 1**

ქუთაისში გამოვიდა პირველი ნომერი ყოველ  
კვირული კოოპერატიული ჟურნალისა — „შრომის  
კავშირი“ ბ. იოსებ გაბილაიას რედაქტორობით.

«ვისაც მართლა ჰსურს და სწყურია მამულის  
აყვავება, უნდა აახილოს თვალები, აამუშაოს გონე-  
ბა, გაითვალისწინოს, თუ რა ბრწყინვალე მომავალს  
უქადის ჩვენს ქვეყანას კოოპერატიული ცხოვრება,  
შეეჩვიოს პრაქტიკულ მუშაობას, გაშალოს ხელე-  
ბი, იმუშაოს!»

ასეთი სამართლიანი სიტყვებით მიმართავს  
„შრომის კავშირი“ ნორჩ კოოპერატიულ მოძრაო-  
ბას საქართველოში.

ენერგია და შრომა თვით ბ. გაბილაიასი კო-  
ოპერატიულ იდეის გავრცელებაში ჩვენს ეკონომი-  
ურად ღარიბ ქვეყანაში, საუცხოვო და მისაბაძია.  
ამ დაჟინებულ ენერგიაში ისახება მომავალი თვით  
ჟურნალისაც.

საერთო შინაარსის მხრივ, „შრომის კავშირი“  
საინტერესოდ არის შედგენილი და ბევრს ცნობებ-  
საც აწვდის ქართველ კოოპერატორს საერთო კო-  
ოპერაციის დარგიდამ. მაგრამ მაინც ერთი ნაკლი  
შეენიშნეთ ამ ჟურნალში. იგი ცოტა ერთმხრივია:  
მთელი ყურადღება ჟურნალისა მომხმარებელ საზო-  
გადოებებისკენაა მიქცეული და ძალიან ცოტა აღა-  
გი აქვს დათმობილი სხვა კოოპერატივების მოწყო-  
ბა-გავრცელებას ჩვენში. მართალია, „შრომის კავ-  
შირის“ გამომცემელი — მომხმარებელი საზ. „პროგ-  
რესი“ არის, მაგრამ, რადგანაც მთელ საქართველო-  
ში ერთად-ერთი კოოპერატიული ჟურნალია, უნდა  
სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებსაც მიაქციოს  
თავისი ყურადღება. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია  
საკრედიტო, მწარმოებელი, საქონლის გამსაღებელი  
და სხვა კოოპერატივები. მეტადრე საკრედიტო კო-  
ოპერაცია, რომელიც ასე სწრაფად ვრცელდება  
ჩვენში და უღმობელად ითხოვს ყოველ დღე მრავალ  
პრაქტიკულ საკითხების გამორკვევას.

ამნაირად, ჟურნალისთვის აუცილებელია სა-  
ერთოდ ყველა ჯურის კოოპერატივების კითხვების  
გამორკვევა და მოვლა. ამისათვის კარგი იქნებოდა,

ჟურნალმა სისტემატიურად მიაწოდოს ჩვენს კო-  
ოპერატიულ დაწესებულებათ უფრო მეტი მასა-  
ლა ქართულ კოოპერაციის ცხოვრებდამ (სტატის-  
ტიკური ცნობები, სამაგალითო ამხან. მთავრობის  
შედგები, შესადარებელი რიცხვები და სხვა). ამ  
მხრივ კი პირველი ნომერი „შრომის კავშირი“-სა  
ცოტა სუსტია.

ერთი სიტყვით, კოოპერატიულ საკითხების თე-  
ორეტიულ გამოკვლევასთან ერთად ჟურნალმა უნ-  
და უსათუოდ მოათავსოს მასალები ქართულ კო-  
ოპერაციის მოქმედების და განვითარების შესახე-  
ბაც. ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება  
ყოველ ქართველ კოოპერატორისთვის — უფრო გაა-  
ვებინებს და ასწავლის მას სწორ გზებზედ სიარულს.  
და „შრომის კავშირიც“ უკეთ მიაღწევს მისგანვე  
დასახულ მიზანს.

გულწრფელად დაულოცავთ ჟურნალს მის კო-  
ოპერატიულ გზას და ვურჩევთ ჩვენს კოოპერატიულ  
ამხანაგობათ, გამოიწერონ ეს, მათთვის ყოველად სა-  
სარგებლო გამოცემა.

დ. ვ.

**მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების  
იუბილეი**

წინა კვირას მოსკოვის საკრედიტო საზოგადო-  
ებამ თავის ორმოცდაათი წლის არსებობის დღე-  
სასწაული გადიხადა. დღესასწაულზე მრავალი სიტ-  
ყვა იქმნა წარმოთქმული „საზოგადოების“ მოღვა-  
წეობის დასახასიათებლად. ამ მხრივ ფრიად საინტე-  
რესოა თვით ამ „საზოგადოების“ გამგეობის თავ-  
მჯომარის ბ-ნ პერეპელკინის სიტყვა:

„არმცდნათი წლის განმავლობაში ჩვენ გა-  
ვედით 35,000 რუბლს. — 662,000,000 მანეთისა  
და ამან ძალიან შეუწყო ხელი იმ სამაგალითო შე-  
ნობათა აშენებას, რომლებიც ესაა ამჟამებზედ მოს-  
კოვს. საკრედიტო საზოგადოება რომ არ ეთფილი-  
ყო, მაშინ მოსკოვი იძულებული იქნებოდა ორ-  
მცდნათი წლის განმავლობაში 238,000,000 მან.  
იმაზედ მეტი პროცენტი გადაეხადა, რაც მან სა-  
კრედიტო საზოგადოებისთვის გადაიხადა, რადგან  
საადამიანებდო საქმისთვის მას უნდა მიემართა გე-  
რძო შინათთვის და 12% ეძლია. ამას კი მოჭყუე-  
ბოდა სადგომთა სიძვირე. აქედანაც ნათლად დაინა-  
ხავთ თუ რა როლი ითამაშა იათვი კრედიტის გა-  
ცემამ სიძგომთა გაიარებაში“.

ეხლანდელი სადგომთა სიძვირე ჩვენს თბილის-



შიაც ხომ ცნობილია. გამგელებული მადით თბილისის სახლის პატრონები დღითი დღე უმატებენ ფასს სადგომებზე და გამგელებას საზღვარი არ უჩანს. საქართველოს სატაბტო ქალაქი ბ. ბ. არამიანცებმა, ხატისოვებმა და ენფინჯიანცებმა ჩაიგდეს ხელში და იშენებენ უზარ-მაზარ სახლებს თავის სალონებისათვის, კლუბებისა, ქარვასლებისა და მაღაზიებისათვის.

ვილა იფიქრებს „უბრალო“ სადგომ სახლებზე, რომელნიც ასე უჭირთ თბილისის მცხოვრებლებს? ან ვინ იფიქრებს მათ აშენების ხელის შესაწყობ საკრედიტო საზოგადოებისთვის? ქართული საადგილ-მამულო ბანკიც ხომ ამისათვის ძალიან თავს არ იცხელებს... „პენიები, შტრაფები, პუბლიკაცია—ტორგები“, არამც თუ არ მიეშველა ძველად ძველ ბინადარ მცხოვრებლებს—ქართველობას ახალ სახლების გაშენება-მოწყობაში, პირ იქით დაუყიდა მათ რაც ძვირფასი სახლები ებადათ თბილისში და ჩააბარა ბ. ბ. არამიანცებს... მაგრამ ეს თემა მეტს ყურადღებას ითხოვს და კვლავაც დაუბრუნდებით.

**სასარგებლო ცნობები**

**ბამბის მოყვანა**

ინჟინერ ი. ქურდიანს ჟურ. „მოსავალში“ მოჰყავს საინტერესო ცნობები ბამბის მოყვანის სარგებლობისა, შედარებით სხვა მცენარეებთან. მაგალითი მოჰყავს ერევნის გუბერნიის მეურნეობიდან:

**ბ ა მ ბ ა**

**ხარჯი:** ერთი დესექტინა ბამბის მოყვანა ღირს 78 მანეთი.


**შემოსავალი:** ერთი დესექტინა იძლევა საშუალოდ 20 ფუთა უკურკო ბამბას და 40 ფ. თესვს. ფუთი უკურკო ბამბა დაახლოებით 12 მან. ღირს, ფუთი თესვა 50 კაპ. საერთო შემოსავალი მაშასადამე უდრის 260 მან აქედამ რომ ხარჯი გამოეკლას, დარჩება **182 მან.**

**პ უ რ ი**

**ხარჯი:** ერთი დესექტინა პურის მოყვანა ღირს — 65 მან.

**შემოსავალი:** ერთი დესექტინის შუათანა შემოსავალი პურისა—100 ფუთი ხორბალი (ფუთა —1 მ. 20 კ.) და 120 ფუთი ბზუ არის(ფუთი 10 კ.)

ფულად შეადგენს სულ 132 მან. აქედამ ხარჯი უნდა გამოეკლას—წმინდა შემოსავალი რჩება **67 მანეთი.**



ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორი იმავე ჟურნალში თავის ვრცელ მოხსენებაში, საცა საერთოდ ქართლის დღევანდელ მეურნეობას შეეხება, სხვათა შორის მოჰყავს საუცხოვო შედეგები ქართლის მებოსტნეობისა და კერძოდ კომბოსტოს მოყვანისა. აი რასა სწერს იგი:

„ერთი დესექტინა კამბოსტოს ჰლანტაციის დაახლოებით 500 მანეთის შემოსავალს იძლევა. ხარჯი ასეთია:

|                         |         |
|-------------------------|---------|
| ერთი დესექტინის მოხვნა. | 10 მან. |
| ხერვა (ჩათილი)          | 7 „     |
| გადარგვა                | 6 „     |
| თრჯულ გათასნა           | 22 „    |
| მარწყვა                 | 5 „     |

სულ . . . 50 მან.

ამ რიგად წმინდა შემოსავალი **450 მან.** უდრის!“

დროა, ჩვენმა მეურნეებმა მიაქციონ ყურადღება ახალ სამეურნეო და უფრო სასარგებლო დარგებს და ამით გაიკაფონ გზა სამეურნეო ცხოვრების გაფართოვებისა და მეტ ნაყოფიერებისაკენ...

**საკოოპერაციო კურსები**

ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის სახელით 15 დეკემბრიდან 6 იანვრამდე გაიმართება დროებითი კურსები კოოპერაციის შესასწავლად, **პრაქტიკულ ხელმძღვანელთა მოსამზადებლად.**

**ვაზის მოსაშენებელი ამხანაგობა**

1907 წ. სოფ. წალენჯიხაში (ზუგდიდის მაზრა) ადგილობრივმა გლეხებმა დაიწყეს ურთი-ერთ დახმარებით ვაზის მოშენება. დაიწყეს ნახევარ ქცევით და დღეს უკვე ხუთი ქცევა მოუშენებიათ.

**საშუამავლო ოპერაციები.** ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობამ უკვე შემოიღო საშუამავლო ოპერაციები ტყავეულობისა.

**ფ რ მ ნ ი ს ხ ე მ ბ ა**

(წერილი ქართლიდან)

ჯოჯოხეთის ტანჯვა-ვაებას იტანს ფრონის ხეობა იმის გამო, რომ დღემდის მდინარე მტკვარზე



ხიდი არ არის გადებული და სადგურ ქარელიდან ცხინვალამდე ქვა-ფენილი არ არსებობს. შემოდგომის პირზე, ათასობით ეტანება ქარელის სადგურს დატვირთული ურემები და თქვენის თვალით უნდა ჰნახოთ ის ტანჯვა-ვაება, რასაც ამ უბედურს გზაზე იტანს ხალხი და საქონელი და მხოლოდ მაშინ დაიჯერებთ, რომ ეს ნაყოფიერი კუთხე ღვთის ანაბარადაა მიგდებული.

გზა ისეა გაფუჭებული, რომ ოთხ-უღელი ხარკამეჩი ძლივს-ძლივობით ათრევს დატვირთულს ურემს ტლაპო-ტალახით სავსე გზაზე. უბედურება მარტო ამით არა თავდება. იკარგება ბევრი დრო, ხშირად ურემი ტყდება და საქონელიც ხდება. რომ ტალახსა და ლაფს აუქციონ, გადადიან ნათესებში და აოხრებენ ქირნახულს. სწორედ ძნელია აღნუსხვა ყველა იმ ზარალისა, რაც ხეობას მოსდის უგზობობით.

წლითი წლობით ამ გზით სადგურ ქარელში ეზიდებიან ათი-ათას ფუთობით: ბზეს, პურს, ქერს, სიმინდს, ნიორს, კართოფილს, ხილს, ჭარხალს, კომბოსტოს და სხვა აუარებელ სანოვავეს. პატრონი არ არის, რომ იზრუნოს ამ საქირო გზაზე, გააკეთებინოს იგი და მით საშუალება მისცეს ხეობას თვისი ნაქირნახულები მსუბუქად და ადვილად გაიტანოს ბაზარში.

ბრეთსა და სალოლაშენში, მაგალითად, ფუთი კომბოსტო ფასობს 14-15 კაპეიკად, ქარელში გატანით. ამავე დროს ვერის მოედანზე ფუთს კომბოსტოს ჰყიდებიან სამს აბაზად. განა ღმერთი უწყენთ თბილისის ქალაქის მამებს იზრუნონ იმაზედაც, რომ ქალაქის მკვიდრმა სანოვავე იაფად შეიძინოს. საერობო ხარჯს იხდის როგორც ქალაქი, აგრედვე სოფელი, მაგრამ დაჩაგრულს და უპატრონო სოფლებს ხმის ამომღები არა ჰყავს, ხოლო ქალაქის მეთაურთ ადვილად შეუძლიანთ ადმინისტრაციას პირი იქით აქნევინონ, სადაც საქიროა. რაკი საქირო გზები და ხიდები გაკეთდება, ქალაქსაც დიდი სანოვავე და საკვები მოაწყდება და სიიაფე ჩამოვარდება, მაგრამ ასეთის წვრილმანის საქმისათვის აბა სად მოიცილის ჩვენის დედა ქალაქის მოღრავი, ენა წყლიანი, „ოქროპირი“ ა. ხატისოვი!

დავუბრუნდეთ ისევ შეწყვეტილს მოთხრობას. ვსთქვათ, მეურმემ მშვიდობით დააღწია თავი ლაფიანს გზას, არც ურემი დაეღწეა და არც ხარკამეჩი დაეჩეხა. ვსთქვათ, მიაღვა მტკვარს თავის ტვირთით. ახლა გასვლა არ გინდათ მეორე ნაპირს? მტკვარზე მუშაობს ერთად-ერთი ბორანი, რომელ-

ზედაც მხოლოდ ერთი ტვირთიანი ურემი შედგება ხოლმე. ხშირად მტკვრის ნაპირზე ასე ურემი იკრიფება. უცადე როდის მოვა შენი რეგულა წყველა-კრულვა, გინება, ლანძღვა საქონელიცა და კაცისა გულშემზარავ სურათს წარმოადგენს. სიცივისა და ლოდინისაგან მობეზრებული ადამიანი, მხეცდება და პირიდან მარტოოდენ ბიწიერება ამოსდის. გაბრაზებული და გააღმასებული აღარავის ინდობს, არც თავის თავს, არც საქონელს, არც განგებას და აღარც მთავრობას. ასეთის სურათის მნახველს ხშირად მიფიქრია: საოცარია, რომ აქამდისინ ეს გააღმასებული გროვა ერისა ხელ-აღებით ყაჩაღად არ გავარდა მეთქი...

ვწუწუნებთ და ვტირით, რომ სოფელი გავერანდა, ინტელიგენცია არ ეტანება და არ შეაქვს კულტურული წესები მეურნეობისა სოფლად. ეს ყველა მართალია, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ გაცარცულ, გაოხრებულ, უპატრონო და გამოფიტულ სოფელში რას გახდება ძალა ერთისა, ან ორის ინტელიგენტისა. განა გზისა და ხიდის გაკეთებას აუვა ან ერთი კაცი, ან სოფელი, ან მთელი ხეობა?

ასეთის საქმის გაძლოლა შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოს, ერობას და სხვას არავის. ქარელის ხიდს მოუნდება სულ ცოტა ათი ათასი თუმანი, ამდენივე ქვა-ფენილს ქარელიდან ცხინვალამდე და აბა თუ არ ერობა, ვინ უნდა იკისროს ამოდენა ფულის გაღება.

ერობა არა გვაქვს და არც მალე გვადირსებენ ამ სამოთხის ხილს, მაგრამ საერობო გადასახადს დიდის ერთგულობით აგროვებენ მამასახლისები, ბოქაულები და საპოლიციო დარაჯნი. მერე სად მიდის ეს ფული? ნახვრეტი თურმე ბევრი ჰქონია. მაგალითად, ამ ფულიდან ინახავენ: საბეპიო ინსტიტუტს, გიეებს, ნაბუშრებს, საეკლესიო სკოლებს, კავკასიის მუზეუმს, საპოლიციო დარაჯებს, საეტაპო სახლებს და სხვა და სხვა.

რასაკვირველია, კულტურულ და განათლებულ ქვეყნებში ყველაფერია საქირო, ნაბუშარსაც პატრონობა და მოვლა უნდა, გიყსაც შენახვა ეჭირვება, საქიროა აგრედვე ნასწავლი ბებიაც, მაგრამ უგზოდ და უხიდოთ ქვეყანა წინ ვერ წავა და საკუთარს სიღარიბესა, ქუჩყსა და უსუფთაობაში ამოიღრჩობა ერი და აბა მაშინ ვიღას რად უნდა ნასწავლი ბებია, ან კავკასიის მუზეუმი, ან საეტაპო სახლები...

კარგა მოზრდილი ნაწილი საერობო თანხისა



ინარჯება ყოველს წელს გზების შესაკეთებლად და ახლების გასაყვანად, მაგრამ საჭიროება ისე დიდია, რომ გზებისთვის გადადებული ნაწილი საერობო თანხისა პირს ვერა სწმენდავს ამ საჭიროებას. საბედნიეროდ ამ წლიდან (მ ივნისის 1912 წ. კანონი) ნახევარი ხარჯი საპოლიციო დარაჯებისა მიიღო თავის თავზე ხაზინამ და ამის გამო მარტო ჩვენს გუბერნიას დაეზოგება თითქმის 200.000 მანათი. ეს განთავისუფლებული თანხა უკლებლივ უნდა მოხმარდეს გზებისა და ხიდების გაკეთებას და სხვას არასფერს.

უწინარეს ყოვლისა ასე მოულოდნელად განთავისუფლებული თანხა უნდა მოხმარდეს ხიდის გაკეთებას მტკვარზე სადგურ ქარელის პირდაპირ და ქვაფენილ გზას აქედანვე ცხინვალამდე. დროა დახმარების ხელი გაუწოდოთ ფრონის ხეობას და ლიახვის პირის სოფლებს, რომელნიც სულ ცოტა, სადგურ ქარელში ზიდავენ წელიწადში არა ნაკლებ 200.000 ფუტს სხვა და სხვა საქონელს.

ბევრჯელ გაგვიცრუვდა იმედი, მაგრამ მაინც ვათავებთ ამ წერილს იმ იმედით, რომ მთავრობა შეისწენს ერის ხმას და დღესვე შეუდგება ხიდის გაკეთების და გზის მოკირწყვლის საქმეს. დახანება აუტანელი ხდება უშველებელის ხეობისთვის.

ა არავინ.

## საზოგადო კვალ-მოკვლევა

ეველა, ვინც ნიუთიერად თუ ზნეობრივად ეხმარება საზოგადოებას და ხელს უწყობს ხალხისათვის კულტურულ დაწესებულებების დაარსებას, ღირსია პატივის ცემისა და დაფასებისა საზოგადოებისაგან. ასეთები ჩვენს საზოგადოებაში უფრო მდუღლეები უნდა იყვნენ, ვინაიდან ისინი უფრო ახლოს სდგანან ხალხთან და ხალხის ხლობაც მათ უნდა ქცნდეთ მოხმარებულნი. მაშასადამე, მოძღვარი თავის მრევლში, თუ იგი გაუდენთიფი არ არის ბნელის აზრებით და ან მარტო თავის თავის ფუფუნებისათვის არა ფიქრობს, ეველაფერს გააკეთებს. მარტო წინვა-ლოცვა ეკლესიაში და მასზედ ზრუნვა არ შეადგენს საქმეს.

ეკლესიას შუადკენს ხალხი. თუ ეკლესიას (შენობას) სჭირია ნიუთიერი დახმარება, ხალხსაც სჭირია მზრუნველობა, ზნეობრივი, გონებრივი. მოძღვარი უნდა უქადაგებდეს ხალხს, როგორც ქრისტეს მოძღვრებას, ისე სწავლა-მეცნიერებას და თუ მას ეს არ შეუძლიან, მაშინ მოვალეა ეცადოს გაუხსნას ხალხს სკოლა და სხვა გონების განმავითარებელი დაწესებულება.

იმერეთის სამღვდელთა, მაგალითად, ნასწავლია თუ უსწავლელი, ამ მხრივ უფრო დიდს უნდას იხენს. ქართლ-კახეთისა.

იმერეთში ძვირად ნახავთ ისეთს სკოლას, რომ სკოლა არ იყოს, სამინისტრო თუ საეკლესიო, და ეველა ეს ხდება სამღვდელთების მეოხებით. ხალხსაც გადავიტყუდი აქვს კონება, იგი მიისწრაფვის სწავლისკენ. ვისაც კი გაუთავებია სოფლის ერთ კლასიანი სკოლა, ის ათხუთმეტ ვერსის მანძილზედ დაიარება სივარჯი, თრკლასიანი სკოლაში. ავიდათ მაგალითად ხარაკაულის სკოლები. აქ არსებობს თრ თრთლ კლასიანი სკოლა, სკერო და საეკლესიო, სადაც მრავალი ბავშვი დაიარება საგრძნობელ სიმართლიან.

უკანასკნელი თრ კლასიანი სკოლა პატივცემულმა მოხუცებულმა დეკანოზმა მ. რომანოზ დეკანოსიძემ დაასრულა თვისის საკუთარის ხარჯით. აუგო სკოლას მშვენიერი ეკლესია; მანვე შესწირა მას საბადე ადგილი და ეველა ეს გადასცა იმერეთის საეპარქიო საბჭოს. შეწირულება დაფასებულა ესე 14,000 მანეთი. თუმცა პატივცემულ დეკანოზს რუსული საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებია, მაგრამ ბუნებას მისი კონება აჩანაკლებ დაუჯადდებია. იგი ფიქრობდა, რომ 14—15 წლის ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება უხერხულია და გადასწყვიტა აეგო ქალებისათვის ცალკე, თრკლასიანი სკოლა, გარდაცვალებულის თვისის ასულის მამიკას სახელბაზუდ, რომელიც უკვე დაწეებულა და, დუთის შეწევნით, ჩქარა დამთავრდება. ეს შენობაც დაუჯდება დეკანოზს არა ნაკლებ 8,000 მან. აღსანიშნავია რომ, ვიდრე დეკანოზი ცოცხალია, შემა, ნაუთი, მოსამსახურე სკოლებისათვის, სახელმძღვანელოები და სხვა ეველა სკოლის ინჟინტარი მ. დეკანოზისა უნდა იყოს. დღეს მ. რომანოზი თავის ნაჭირნახულევს თეოთბვე უვლის, როგორც გამკე და მამა. სასიამოვნოა ისიც, რომ მისი შეუდღე ახუსია მხარში ამოსდგომია და ხელს უწყობს მრავალს მისს კუთილ განზრახვას. მათ მიიღეს მონაწილეობა და ეველა საკულტურო დაწეებაში შეიტანეს თავიანთი წვლილი, როგორც მაგალითად სამეურნალოს დაარსებაში, ფოსტისა, წვრილი კრედიტისა, საშვიოთხელონი, მოძრავებულ მოსამართლისა და სხვა...

მ. რომანოზს მიჰბაძს მისმა ნათესავმა ქუხს დეკანოსიძემ, რომელმაც თვისის ნიუთიერის დახმარებით ხელი შეუწყო ხარაკაულში სხვა და სხვა დაწესებულების დაარსებას. არ დასტევა თვისი სოფელი ღარის ხევიც უზრუნველო; მან სოფელს თრ კლასიანი სკოლა დაუარსა, შესწირა შენობა და საბადე ადგილი, ღირებული 2500 მ. შეტად აღუთქვა დახმარება გამომჩენილ ღარის ხევის წმ. გიორგის ეკლესიას შესაკეთებლად და სხ.



ხალხი შემდეგისთვის კიდევ მრავალს კეთილს მყოფის მისგან.

დღეს ამათის ხარკაული ასეთი ქველ-მოქმედი პირებით, როგორებიც არიან დეკანოზი მ. რამაძე და ქუჩა დეკანოსიძეები. უკუა, დიდი თუ პატარა მათ სი-ცოცხლეს ავედრებს უფაღს. ჩვენში კი ზოგი ჩვენი ს-მდგდეფა პირი არამც თუ არ ზრუნველობს და დახმარე-ბას არ უწყებს საზოგადოებას, იგი პირ იქითა კლდეზე კულტურულ დაწესებულებათა დაარსებას. აქვე მოვიყვან ეხლანს მომხდარ ამავს სოფ. ატენში (ქართლი).

ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოებამ გაგზავნა იქა მას-წავლებელი ახლად გახსნილ ერთკლასიან სკოლისათვის. მისთვის უმაღ, მასწავლებელმა დაიბარა მშობლები; და-ნიშნულს დროზედ შეიკრიბა ხალხი; მასწავლებელმა აუხს-ნა ხალხს სკოლის მნიშვნელობა, საერთოდ სწავლა-მეც-ნიერებისა და ბედის სთხოვა ბავშვები ეტარებინათ სკო-ლაში. ხალხმა უარი განაცხადა: დღეს თუ უფასოა, ხვალ უფასო გადაგვხდებიან. ბევრი ეჩინა მასწავლებელი, შენობა უფასოა (ერისთავისუფლი), მასწავლებელი უფა-სო, სხვა რაღა უნდა გადაგვხდეთ, მაგრამ ამად. ამ საგანზედ რამდენჯერმე შეუარა ხალხი მასწავლებელმა, მაგრამ ხალხი მაინც თავისას გაიძახოდა: „არ გვინდა სკოლა, არ გვინდა“.

რამდენიმე კრებაზედ დაესწრო ადგილობრივი მღვდელ-იც, მაგრამ, როგორც შენ, მკითხველმა, არ გირჩევია რა ამ ხალხისთვის, ისე მას აქ, კრებაზედ, ხმა არ ამრუდია. აქ, ეჭვი არ არის, რომ მღვდელი სკოლის წინააღმდეგი იყო.

კარგი კი იქნებოდა ჩვენი ინტელიგენტებს და ასეთს მამებს მიუღოთ მაგალითი პატივცემულ „უსწავლელ“ მ. რამაძეს და ქუჩა დეკანოსიძეებისგან და თუ სავთიერს ან ზნეობრივს დახმარებას არ აღმოუჩინებ ასეთს დაწე-სებულების დაარსებას, ხელს მაინც ხე შეუშლიან თვისის მოქმედების კეთილ პირებს.

კოტე ფასანაურელი.

† არისტო ჭუთათელაძე.

კიდევ ერთი სიკვდილი! ხონში გარდაიცვალა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ცნობილი ქართ-ველი პედაგოგი არისტო ვასილის ძე ჭუთათელაძე. განსვენებული დაიბადა დაბა ხონში. საშუა-ლო სწავლა განათლება მიიღო ჭუთათისის გიმნაზია-ში, უმაღლესი—პეტერბურგის უნივერსიტეტში, აღ-მოსავლეთის ენათა ფაკულტეტზედ. სამშობლოში დაბრუნებისას მასწავლებლობდა საქართველოს სხვა-

და-სხვა სასწავლებლებში. ბოლოს სამშობლოდ თბი-ლისში გადმოსახლდა და 21 წლის განმავლობაში სათავად-ახნაურო გიმნაზიაში მასწავლებლობდა. აქ მან დიდი სიყვარული მოიპოვა მწიგნობრისა. მისი სახელი ეხლაც ბევრს მის ნაშეგირდალს ახსოვს და სიკვდილი მისი ბევრს დაალონებს. როგორც პედა-გოგმა მან შეადგინა რამდენიმე სახელმძღვანელო. მისი მოღვაწეობა მარტო სკოლით არ თავდებოდა. მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ-ეურნალ გაზეთებში და ყველა საზოგადო საქმეში. თავი-სუფალ დროს ქართულ ისტორიის და სიტყვიერე-ბის შესწავლას ანდომებდა და ბატონ ე. თაყაი-შვილთან ერთად ხშირად უმოგზაურია ქართულ სი-ძველეთა აღსაწერად. განსვენებულს განსაკუთრებით თბილისთან მდებარე ბეთანიის მონასტერი უყვარდა და დიდი ღვაწლი დასდო მის აღდგენა-გამშენიე-რებას. როდესაც სკოლას თავი მიანება, საზღვარ გა-რედ გაემგზავრა და წელიწადზედ მეტი დაჰყო იქ. დაბრუნებისას ჯერ ისევ ჯანმრთელად იყო, მაგ-რამ ერევანში ცხოვრების დროს ხანგრძლივის ავად-მყოფობით გახდა ავად. ერთ ხანობას თბილისის საავადმყოფოში იწვა მაგრამ ვერც საავადმყოფომ უშველა. მაშინ იგი გადასახლდა თავის სამშობლო ხონში და უკანასკნელი დღეები იქ გაატარა.

რედაქციისაგან

უძორნილესად ვსთხოვთ ეველა ხელის მომწერთ, გუბცნობან ხოლმე დროზედ, თუ ჩუენი ჟურნალის №№.. არ მიუკათ, რომ თბდარგი დაუჭიროთ.

ბგრედვე ვსთხოვთ ეველას, ვინაც ფული არ გადაუხდია, მალე გამოგზავნონ, წინა-აღმდეგ შემთხვევაში მოყსპობათ ჟურნალის გსავნა.

ხელნაწერები არავის არ უბრუნდება.

რედაქტორ-გამომცემელი  
რ. გაბაშვილი.




მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ



# კოოპერატიული ღვინო


## საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“.

ელექტრომბეჭედავი სტამბა ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 5.

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 688<sup>1</sup>/<sub>2</sub> ღმწებიანა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## ქალაქ მართოვშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უპანასაწეოდ დროს საზოგადოების საქმიანი მოწახილველური და მამიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.



ქ. გორში გამოდის ყოველდღიური სალიტერატურო, სავაჭრო-სამეურნო სასოფლო-გაზეთი

# „ქართლი“

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

## დამატებით

|                 |   |   |   |   |            |
|-----------------|---|---|---|---|------------|
| წლიურად ეღირება | — | — | — | — | 5 მ.       |
| ნახევარი წლით   | — | — | — | — | 2 მ. 60 კ. |
| სამი თვით       | — | — | — | — | 1 მ. 50 კ. |
| ერთი თვით       | — | — | — | — | 45 კ.      |

## უდამატებოდ

|                 |   |   |   |   |            |
|-----------------|---|---|---|---|------------|
| წლიურად ეღირება | — | — | — | — | 4 მან.     |
| ნახევარი წლით   | — | — | — | — | 2 მ. 30 კ. |
| სამი თვით       | — | — | — | — | 1 მ. 20 კ. |
| ერთი თვით       | — | — | — | — | 55 კ.      |

ცალკე ნომერი დამატებით ყველგან 5 კაპ. უდამატებოდ 3 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტ სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე — ერთი შაური. სამ-გლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენიშვნა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და უდამატებოდ. შემოდგო-მიდამ კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველ-დღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ეკალაძე-ცინცაძე. მისამართი: ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს. ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

# „განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „განათლება“ გამოდის ყოველ თვის შუა რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში.

ჟურნალი გამოდის დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს სამი მანეთი და ათი შაური (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით ორი მანეთი (2 მან.); საზღვარ გარეშე ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „ქ.-შ. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან და „ნაკადულის“ რედაქციაში. ქუთაისში წიგნებისა და გაზეთების კანტორა „იმერეთი“, ისიდორე კვიციანიძესთან, ბათუმში წიგნის მაღაზია „განთიადი“. ამ ორ ადგილს იყიდება ცალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით

მიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის. (არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და ამ სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ. ენკენისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. თვეში ღირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეშე). საზღვარ-გარეშე თვეში ზედმეტი 25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადაზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისის-თვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

პირველი ვლისამდე

# „კოოპერაცია“

სახალხო საკოოპერაციო და საზოგადო-კულტურული ჟურნალი.

ჟურნალი „კოოპერაცია“ დამატებით ღირს წლიურად 3 მან. ნახევარი წლით 1 მ. 75 კ. „შრომის კავშირი“ — წლიურად 2 მ. 50 კ. ნახევარ წლით 1 მ. 50 კ. რედაქცია მოუწოდებს მომხმარებელ, საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს დაიკვეთონ „შრომის კავშირი“ ხალხში გასავრცელებლად. ფულის გამოგზავნა შეიძლება მერე. ადრესი: Г. Кутаисъ редакция журналовъ „Кооперация и „Шროмись Кавшири“.